International Scientific Journal ***Innovative Economics and Management***
E-ISSN:2449-2604
htpp://iem.ge; editor@iem.ge
Vol. 12 No3.2025

Darejan Chkhubadze
Email:darejan.chkhubadze@bsu.edu.ge
Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia
orcid.org/0009-0000-3457-2064

THE ROLE OF SOCIAL ASSISTANCE PROGRAMS IN POVERTY REDUCTION

Abstract: *Relevance of research: overty is a global problem in the world, in terms of social inequality, we do not have a favorable situation in Georgia either, the middle class does not exist, or it is small. The socio-economic environment in the country (unemployment, negative socio-economic outcomes) requires a new vision of the essence, purpose and role of social programs focused on overcoming poverty, therefore, researching the issue of poverty with regard to social assistance programs is very relevant, both from a theoretical and practical point of view.*
The study's objective: he purpose of the study is to investigate the role of social assistance programs in overcoming poverty among the population, as well as to determine future prospects.
Research objectives: Based on the purpose of the research, the main objectives and hypotheses of the research can be formulated as follows: 1. Analysis of modern trends in poverty; 2. Study of theoretical aspects of research on social assistance programs. 3. Assessment of the role of social assistance programs in poverty reduction and in the context of the country's economic development.
Object and subject of the research: The object of the research is poverty among the population of Georgia, and the subject of the research is specifically state programs aimed at overcoming poverty.
Methodology/approach: The methodological basis of the work is economic science research. The work uses Georgian and foreign scientific articles, papers and studies. The material used in the study is based on data from the National Statistics Service. Qualitative and statistical methods were used in the study. This study is mainly based on information collection, comparison, evaluation and analysis.
Practical value/results: the results and conclusions of the research can be used in higher education institutions as a guide material, and it will significantly help various institutions in working out the adequate issues of defining and realizing the country's economic development course.

Keywords*: Poverty, Social protection, Social assistance programs, Welfare state model*
JEL classification: *H750*

© All authors, 2025

International Scientific Journal **Innovative Economics and Management**
E-ISSN:2449-2604
htpp://iem.ge; editor@iem.ge
Vol. 12 No3.2025

დარეჯან ჩხუბაძე
Email:darejan.chkhubadze@bsu.edu.ge
ასოცირებული პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
orcid.org/0009-0000-3457-2064

სოციალური დახმარების პროგრამების როლი სიღარიბის შემცირებაში

აბსტრაქტი: თემის აქტუალურობა. *სიღარიბე მსოფლიოში გლობალური პრობლემაა, სოცია—ლური უთანასწორობის მხრივ საქართველოშიც არ გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა, საშუალო კლასი არ არსებობს, ან მცირერიცხოვანია. ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემო, (უმუშევრობა, უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები), მოითხოვს სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული სოციალური პროგრამების, არსის, დანიშნულებისა და როლის ახლებურ ხედვას, ამიტომ სიღარიბის საკითხის კვლევა სოციალური დახმარების პროგრამების გათვალისწინებით მეტად აქტუალურია, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.*

კვლევის მიზანი. *კვლევის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობაში არსებული სიღარიბის დაძლევაში სოციალური დახმარების პროგრამების როლის გამოკვლევა-შესწავლა, ასევე სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა.*

კვლევის ამოცანები. *კვლევის მიზნიდან გამომდინარე კვლევის ძირითადი ამოცანები და ჰიპოთეზები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: 1.სიღარიბის თანამედროვე ტენდენციების ანალიზი; 2. სოციალური დახმარების პროგრამების კვლევის თეორიული ასპექტების შესწავლა. 3. სოციალური დახმარების პროგრამების როლის შეფასება სიღარიბის შემცირებასა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კონტექსტში.*

კვლევის ობიექტი და საგანი: კვლევის ობიექტი საქართველოს მოსახლეობის სიღარიბეა, ხოლო კვლევის საგანი კონკრეტულად სახელმწიფო პროგრამებია, რომლებიც მიმართულია სიღარიბის დასაძლევად.

მეთოდოლოგია/მიდგომა. *ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების გამოკვლევები, ნაშრომში გამოყენებულია ქართული თუ უცხოენოვანი სამეცნიერო სტატიები, ნაშრომები და კვლევები, კვლევაში გამოყენებული მასალა ეფუძნება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს. კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი და სტატისტიკური მეთოდები. მოცემული კვლევა ძირითადად ეყრდნობა ინფორმაციის შეგროვებას, შედარებას, შეფასებასა და ანალიზს.*

პრაქტიკული ღირებულება/შედეგები: კვლევის შედეგები და დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც სახელმძღვანელო მასალა, ამასთან იგი მნიშვნელოვნად დაეხმარება სხვადასხვა ინსტიტუტებს, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კურსის განსაზღვრა-რეალიზაციის ადეკვატური საკითხების დამუშავებაში.

© All authors, 2025

საკვანძო სიტყვები: *სიღარიბე, სოციალური დაცვა, სოციალური დახმარების პროგრამები, სოციალური სახელმწიფოს მოდელი*
Jel კლასიფიკაცია: *H750*

შესავალი

დღევანდელ ეპოქაში სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის პრობლემა კვლავ ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა გლობალურ ეკონომიკაში და გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი მიღწევების მიუხედავად, მკვეთრად გამოხატულია სიღარიბის ტენდენცია, რაც გულისხმობს მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე შემცირებას, უმუშევრობას, მიგრანტთა გადინებას ქვეყნიდან და სხვა. ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, შეზღუდული წვდომით ძირითად სასიცოცხლო შეღავათებზე განათლებაზე, ჯანდაცვაზე, საცხოვრებელზე და ა.შ.

ამ პრობლემამ თავი იჩინა ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური თუ პოლიტიკური ვითარების გამო, უფრო მეტად გამწვავდა და თავისი ნეგატიური გზებით გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკაზე, მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

ქვეყანაში სიღარიბის მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასება, სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული ღონისძიებების დასახვა და და გარკვევა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პროცესია და ქვეყნის გამოწვევად რჩება. სხვა ფაქტორებთან ერთად ყურადღება გამახვილებულია სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებულ სოციალურ პროგრამებზე, როგორც მოსახლეობის ცხოვრების დონის განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტზე, მის განვითარებასა და რეალიზაციაზე.

მოსახლეობის ღარიბი და დაუცველი ფენების სახელმწიფო მხარდაჭერა განსაკუთრებით აქტუალურია გლობალური ეკონომიკური ცვლილებების კონტექსტში, როდესაც ტრადიციული სოციალური დაცვის მექანიზმები გაზრდილი ზეწოლის ქვეშაა და მოსახლეობის შემოსავლებსა და კეთილდღეობაში უთანასწორობა კვლავ იზრდება. ეკონომიკური განვითარება და სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება გარდაუვლად მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას სოციალური სამართლიანობისა და რესურსების გადანაწილების უზრუნველსაყოფად. მისი ძირითადი პრინციპია: ,,რაც შეიძლება მეტი მიეცეს მათ, ვისაც ეს სჭირდება''.

მთავრობამ უნდა დასახოს სწორი სტრატეგიები, რომლებიც დაარეგულირებენ და გააკონტროლებენ სოციალური დაცვის საკითხებს. სოციალური სისტემები და მისი პროცესების მართვა, ეს არის ყველა ქვეყნის უმთავრესი ამოცანა, რადგან თოთოეული მათგანის განხორციელება წარმოადგენს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკისა და სტაბილურობის მყარ გარანტს.

რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვა:

© All authors, 2025

იქიდან გამომდინარე, რომ სიღარიბე და სოციალური უთანასწორობა არ წარმოადგენს ახლად ჩამოყალიბებულ პროცესს, საკითხი შესწავლილი და განხილულია უამრავი მეცნიერის მიერ სხვადასხვა რაკურსით განსხვავებულ კონტექსტში. აქ განხილულია მხილოდ ნაწილი ნაშრომებისა, რომელიც ეხება საკვლევ თემას.

მერაბ კაკულია....., ნაშრომში ,,ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში,'' აღნიშნავს, რომ ,,სიღარიბე არის კეთილდღეობის ნაკლებობა ერთი შეხედვით, უმარტივესი დეფინაცია,.....კეთილდღეობის ნაკლებობა-კი კონკრეტული ადამიანის მოთხოვნილებებს და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობებს ასახავს.''

,,სიღარიბე და უთანაბრობა არსებითად აფერხებს სოციალურ განვითარებას-საზოგადოების ნაწილი ვერ მონაწილეობს სოციალურ ცხოვრებაში, ვერ ახერხებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას, ვერ ახერხებს ინვესტიციას საკუთარ კაპიტალში, რაც არსებითად აფერხებს სოციუმის ჰარმონიულ განვითარებას, განსაკუთრებით ნეგატიურია ქრონიკული სიღარიბის ზეგავლენა, ვინაიდან სოციალური რეგრესი სიღარიბეში ხანგრძლივი ცხოვრების გარდაუვალი შედეგია''. (**Kakulia M….,gv.6. 2017**). {4}

ანთაძე თეონა ნაშრომში ,,სოციალური დახმარების სისტემის ევოლუცია საქართველოში'', აღნიშნავს, რომ ,,21-ე საუკუნე პროგრესსა და ცვლილებებთან ერთად სოციალური ტრანსფორმაციის ეპოქასაც წარმოადგენს, რომელშიც სოციალური დაცვის სისტემები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანების სოციალური რისკებისგან დაცვის თვალსაზრისით,...მხარდამჭერი ინსტრუმენტების გამოყენებით.....თანამედროვე სწრაფად ცვალებად სამყაროში სოციალური დაცვის არსი იგივე რჩება, თუმცა იცვლება გარემოებები, კონტექსტი, გამოწვევები და მიდგომები''.(Antadze T,2025). {2}.

აბსანძე თეონა ნაშრომში ,,რამ განაპირობა ქვეყანაში სიღარიბის დონის მკვეთრი შემცირება''?, ახასითებს აბსოლუტურ სიღარიბეს, მის შედეგებს: ,,პირველ რიგში უნდა განვმარტოთ, რომ აბსოლუტურ სიღარიბე აჩვენებს, მოსახლეობის რა ნაწილი ცხოვრობს საარსებო მინიმუმს ქვემოთ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობის მაღალი წილი ძალზედ მოწყვლადია და სიღარიბის ზღვართანაა''. **(Absandze T, 2022) {1}.**

ბარბაქაძე ზაზა თავის ნაშრომში ,,რა შეიძლება იმალებოდეს სიღარიბის სტატისტიკის მიღმა''? ახასიათებს სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის ცვლადებს, კერძოდ ….,,**ჯინის კოეფიციენტი:** წარმოადგენს შემოსავლების განაწილების აღმწერ ცვლადს. კოეფიციენტის მნიშვნელობა იცვლება 0-სა და 1-ს შორის. ჯინის კოეფიციენტის მნიშვნელობის 0-თან სიახლოვე შემოსავლების მეტ-

© All authors, 2025

ნაკლებად თანაბარ განაწილებაზე მიუთითებს. საწინააღმდეგოდ, 1-ის ტოლ მნიშვნელობასთან ახლოს მყოფი ჯინის კოეფიციენტი შემოსავლების განაწილების არსებით უთანაბრობაზე მიუთითებს''.(Barbaqadze Z, 2024) {3}

ოვჩინიკოვი ვ. ნაშრომში ,,ჩინეთი''. გვაცნობს ჩინეთში მოქმედ სოციალურ პროგრამებს, მაგალითად ,, ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია „იმედის" პროგრამა, რომელიც 1989 წლიდან ხორციელდება და მიზნად ისახავს ღარიბი სოფლის ოჯახების ბავშვების დახმარებას'', „იმედის" პროექტის გარდა, ჩინეთში ამჟამად ღარიბების დასახმარებლად სხვა მიზნობრივი პროგრამებიც მოქმედებს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია „ბედნიერების პროექტი", რომლის მიზანია ღარიბი დედების დახმარება. და ა.შ ''. **(Ovchinikov v, 2024) {11}**

ძირითადი ნაწილი:

სიღარიბე საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩება, სიღარიბის ცნებაში სამი განსხვავებული მიდგომა არსებობს: პირველი მიდგომით სიღარიბის ცნებაში იგულისხმება უსახსრობა და მატერიალური ფასეულობების ნაკლებობა. მეორე მიდგომა გულისხმობს ადამიანის სუბიექტურ განწყობას, მიიჩნევს თუ არა იგი თავს ღარიბად, ხოლო მესამე მიდგომის მიხედვით სიღარიბეში იგულისხმება არა მარტო მატერიალური, არამედ სულიერი ფაქტორების ერთობლიობა.

თითოეული ქვეყანა სიღარიბეს განსაზღვრავს განვითარების დონის, სოციალური ნორმების და ღირებულებების საფუძველზე. ამის გამო, სიღარიბის დონე სხვადასხვა ქვეყნებისთვის განსხვავებულია. არსებობს ორი სახის სიღარიბე აბსოლიტური სიღარიბე და შედარებითი სიღარიბე. აბსოლიტური სიღარიბე - ეს არის ბაზისური ადამიანური მოთხოვნილების ნაკლებობა ანუ როგორიცაა: სუფთა წყალი, საკვები, თავშესაფარი, განათლება ჯანმრთელობა და ტანსაცმელი, რადგან ადამიანს არ აქვს უნარი მოახერხოს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, შესაბამისად ადამიანი იძულებულია იყიდოს მხოლოდ პროდუქციის მინიმუმი, რომელსაც შეუძლია შეუნარჩუნოს სიცოცხლე. ფარდობითი სიღარიბე კი - ეს არის, როდესაც ადამიანს უფრო ნაკლები ფული ან ქონება აქვს, ან ნაკლები შესაძლებლობა სრულფასოვან საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისა იმ საზოგადოებასთან შედარებით, სადაც ის ცხოვრობს. განასხვავებენ ასევე სოციალურ და ეკონომიკურ სიღარიბესაც. სოციალური სიღარიბე მოიცავს მოსახლეობის მრავალშვილიან ოჯახებს, მარტოხელა პენსიონრებსა და შშმ პირებს. ასეთ ოჯახებში აქვთ ჯანმრთელობისა და უმუშევრობის პრობლემა, რასაც სიღარიბემდე მიჰყავთ, ხოლო რაც შეეხება ეკონომიკურ სიღარიბეს მასთან საქმე გვაქვს, როცა ეკონომიკურ შრომის უნარიან მოსახლეობას სხვადასხვა მიზეზების გამო არ შეუძლია შეიქმნას სოციალურად მისაღები ცხოვრების დონე, რაც ძირითადად გამოწვეულია უმუშევრობით, დროებითი სამსახურებით, შრომის დაბალი ანაზღაურებით დ აშ. {10}

© All authors, 2025

სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის სტატისტიკის ანალიზისთვის გამოყენებულია შემდეგი ცვლადების შესაბამისი მონაცემები:

ფარდობითი სიღარიბე: ზომავს მოსახლეობის იმ წილს, რომელიც მედიანური მოხმარების 60%-ზე ნაკლებს ხარჯავს; **აბსოლუტური სიღარიბე** - სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილია, მისი მაჩვენებელი საარსებო მინიმუმზეა დაფუძნებული, წარმოადგენს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს; **ჯინის კოეფიციენტი-** წარმოადგენს შემოსავლების განაწილების აღმწერ ცვლადს.

გრაფიკი 1.

ფარდობითი და აბსოლუტური სიღარიბე; ჯინის კოეფიციენტი



წყარო: გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემების მიხედვით.

ეკონომიკურ ზრდას საქართველოში, სიღარიბის ფართომასშტაბიანი შემცირება არ მოჰყოლია. გრაფიკ 1-ზე მოცემული მონაცემების მიხედვით, ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი და ჯინის კოეფიციენტი მცირედით შემცირებულია. მართლაც, 2023 წელს 2019 წელთან შედარებით, ფარდობითი სიღარიბე 20.1%-დან 19.8%-მდე შემცირდა (0.3%-იანი ცვლილება), ხოლო ჯინის კოეფიციენტის სიდიდე 0.37-დან 0.36-მდე შემცირდა (2023-24 წწ მდგომარეობით შემოსავლები მცირედით, თუმცა შედარებით თანაბრადაა განაწილებული). შეფარდებითი სიღარიბისა და ჯინის კოეფიციენტის შემცირება პოზიტიურად შეიძლება აღვიქვათ, თუმცა ცვლილების მასშტაბი საკმაოდ მცირეა.

რაც შეეხება აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელს, მისი მნიშვნელობა 2019 წელთან შედარებით არსებითად შემცირებულია. აღნიშნული პარამეტრის მიხედვით, 2019 წლის მდგომარეობით, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის 19.5% ცხოვრობდა (2019 წელს ყოველი მე-5 ადამიანი აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს მიღმა იყო), ხოლო 2023

© All authors, 2025

წლისთვის აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 11.8%-მდე შემცირდა (2024 წელს ყოველი მე-8 ადამიანი აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს მიღმა იყო).

გრაფიკი 2



წყარო: გრაფიკი აგებულია საქსტატის მონაცემების მიხედვით

მსოფლიო ბანკის მონაცემებით უკიდურესი სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილმა 2 წელიწადში თითქმის ორნახევარჯერ დაიკლო და 2024 წელს 1,8 %, 2025 წელს კი-1,4 %-მდე შემცირდა, ხოლო პროგნოზით იგი-2027 წელს 1,1%-ს გაუტოლდება.

აქვე უნდა დავძინოთ ის ფაქტი, რომ საქართველო საარსებო მინიმუმის მაჩვენებლით, მსგავს ქვეყნებს შორის ერთ-ერთი უკანასკნელია. მიუხედავად იმისა, ბოლო პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა, ასევე გაიზარდა როგორც მოსახლეობის, ასევე ერთ სულზე საშუალო თვიური შემოსავლების განაწილებაც (იხ, გრაფიკი 2) ლარის გაუფასურების და ინფლაციური წნეხის ფონზე უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული მაჩვენებლები ვერ ასახავს რეალურ სურათს.

დღეს არსებული სიღარიბის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზები არსებობს, მათ შორის: ქვეყნის არასტაბილური მდგომარეობა, დაბალი ხელფასები, ინფლაცია, ოკუპირებული ტერიტორიები, მაღალი გადასახადები, თავისუფალი სავალუტო სისტემის არარსებობა და ა.შ. თუმცა სიღარიბის მთავარ პრობლემად უმუშევრობა განიხილება, რომელიც განსაკუთრებით საქართველოში მწვავედაა გამოხატული (იხ.ცხრ.1) მოცემული მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2015 წლიდან 2019 წლამდე უმუშევრობის დონე მცირდება და 2021 წლის 20,6 პროცენტიდან 2024 წლის რეკორდულად დაბალ 13,9 პროცენტამდე ეცემა, რაც გამოწვეული შეიძლება იყოს ახალი სამუშაოების შექმნით, დასაქმების წახალისებით, ტურიზმის განვითარებით, დამწყებთათვის ხელშეწყობით და სხვა, ხოლო 2020 წელს უმუშევრობის დონის ზრდა შეიძლება აიხსნას პანდემიის არსებობით,

© All authors, 2025

ცხრილი 1

დასაქმებისა და უმუშევრობის დონე 2020-2024 წწ

წელი	2015	2020	2021	2022	2023	2024
სამუშაო ძალა,ათასი კაცი	1675,6	1523,7	1533,6	1551,6	1596,3	1629,5
უმუშევარი,ათასი კაცი	367,2	281,9	316,2	267,9	261,7	227,0
დასაქმებული, ათასი კაცი	1258,4	1241,3	1217,4	1283,7	1334,6	1402,5
უმუშევრობის დონე, პროცენტი	21,9	18,5	20,6	17,3	16,4	13.9

წყარო: ცხრილი აგებულია საქსტატის მონაცემების მიხედვით

წახალისებით, ტურიზმის განვითარებით, დამწყებთათვის ხელშეწყობით და სხვა, ხოლო 2020 წელს უმუშევრობის დონის ზრდა შეიძლება აიხსნას პანდემიის არსებობით. (იხ. გრაფიკი 3)

განსაკუთრებით სათუთი მსჯელობის საკითხია **პანდემიურ პირობებს მორგებული სოციალური სისტემა და COVID19-ეფექტის** პერიოდის განხილვა, როცა საკმაოდ რთული პირობები იყო შექმნილი, როცა საკმაოდ გაიზარდა უმუშევრობის მაჩვენებელი საქართველოში.

გრაფიკი 3

უმუშევრობის მაჩვენებელი საქარველოში



წყარო: გრაფიკი აგებულია საქსტატის მონაცემების მიხედვით

მიმდინარე პერიოდის კრიზის დასაძლევად სახელმწიფომ მიიღო გარკვეული ზომები, ანტიკრიზისული გეგმის თანახმად, რომელშიც თითოეული პუნქტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ ეტაპზე სოცილაური დაცვის კუთხით, ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფომ შეძლო და ნაწილობრივ მაინც გაუმკლავდა ამ რთულ კრიზისს.

© All authors, 2025

უმუშევრობის შემცირებამ, ეკონომიკურმა შესაძლებლობებმა, შრომითიი შემოსავლების ზრდამ და სამთავრობო პროგრამებმა საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო სიღარიბის შემცირებას საქართველოს ოჯახებში. თუმცა მისი დაფარვა შეზღუდული რჩება, უნივერსალური ჯანდაცვის პროგრამამ გააუმჯობესა ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა, წლიური ინფლაციის 1,9 პროცენტამდე შემცირებამ (წლიურ მაჩვენებელთან შედარებით) შეამცირა დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახებისათვის ცხოვრების ხარჯების ზეწოლაც {6}.

რაც შეეხება **პოსტკოვიდურ პერიოდს** - 2020 წლის თითქმის სრული ნაწილი და 2021 წლის გარკვეული პერიოდი ეკონომიკის მრავალი სექტორი ბუნებრივი თუ ხელოვნური მიზეზებით შეზღუდული იყო. შეზღუდვების შედეგად, საქართველოში 2020 წელს რეცესია დაფიქსირდა - 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს რეალური მშპ 6.3%-ით შემცირდა. ამას დაემატა **რუსეთ-უკრაინის ომის ფაქტორი (ლტოლვილთა ნაკადი):** 2022 წლის დასაწყისში, რუსეთის მიერ დაწყებული ომის მიზეზით საქართველოში გაიზარდა

გრაფიკი 4



წყარო: გრაფიკი აგებულია საქსტატის მონაცემების მიხედვით

როგორც რუსი, ისე უკრაინელი ლტოლვილების რაოდენობა, რის შედეგადაც, ერთი მხრივ, მყისიერად გაიზარდა ადგილობრივი წარმოების საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა {3} ხოლო, მეორე მხრივ, გაიზარდა ფულადი შემოდინებების მოცულობა.

ფულადი შემოდინებების ზრდის შედეგად, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი ისტორიულად დაბალი დეფიციტით ხასიათდება, რაც ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობის გაზრდითა და მიმდინარე ანგარიშის სხვა კომპონენტების პოზიტიური დინამიკით

© All authors, 2025

აიხსნება. (იხ . გრაფიკი.4). ლტოლვილთა ნაკადის ზრდის პარალელურად, გაზრდილია იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებმაც ქვეყანა 1 წლით და მეტი პერიოდით დატოვეს. მიმდინარე ანგარიშის ბალანსი აჩვენებს, რომ შედეგად გაზრდილია უცხოეთში მცხოვრები ქართველების მხრიდან გზავნილების მოცულობაც. {12}

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ერთ სულ მოსახლეზე 2019 წლის ფასებით დათვლილი რეალური მ.შ.პ 13.4 ათასიდან 16.5 ათას ლარამდე გაიზარდა (23.8%-იანი ზრდა). აღნიშნული ცვლილება საკმაოდ პოზიტიურია, თუმცა ფაქტობრივი ცვლილების შეფასებისას, ხშირია მდგომარეობის მეტად პოზიტიურ ჭრილში წარმოჩენის რისკი.

მიზნობრივი სოციალური დახმარება და სახელმწიფო საპენსიო დახმარება საქართველოში სიღარიბესთან ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტებს წარმოადგენს და 2023 წელს ჯამურად დაახლოებით 4.9 მლრდ ლარია გამოყოფილი.

გრაფიკი .5



წყარო: გრაფიკი აგებულია საქსტატის მონაცემების მიხედვით

გაბერილი სოციალური ხარჯები მრავალი განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნისთვის გამოწვევას წარმოადგენს. ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი ფასეულობა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა. სახელმწიფო ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვან თანხას ხარჯავს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე. პენსიონერთა რიცხვი ბოლო პერიოდში ყოველწლიურად იზრდება, ხოლო პაკეტის მიმღებთა რიცხვი არ იცვლება, ერთ დონეზეა (იხ. გრაფიკი 5).

კვლევის შედეგები

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტია სახელმწიფო სოციალური პროგრამები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოციალური დაცვისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფაში მათთვის, ვინც რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში აღმოჩნდება. სახელმწიფო სოციალური პროგრამები

© All authors, 2025

მიზნად ისახავს სოციალური უთანასწორობის მინიმიზაციას, მოქალაქეების ძირითადი საჭიროებების უზრუნველყოფას და დაუცველ მდგომარეობაში მყოფი პირების მხარდაჭერას.

სოციალური დახმარების პროგრამები სოციალური პოლიტიკის პრინციპებზეა შემუშავებული და მის ძირითად მიმართულებებს განიხილავს: 1. მოსახლეობის შემოსავლების სფეროში (სამომხმარებლო კალათა, ცხოვრების დონე, კეთილდღეობა და ა.შ.); 2. შრომისა და შრომითი ურთიერთობების სფეროში (ხელფასები, შრომის დაცვა და სოციალური დაზღვევა, მოსახლეობის დასაქმება და ა.შ.); 3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და დაბალი შემოსავლის მქონე მოქალაქეების სოციალური დაცვა (სოციალური გარანტიები, პენსიის უზრუნველყოფა, სოციალური მომსახურება); 4.სოციალური სფეროს დარგებში (ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, მეცნიერება, კულტურა, ფიზიკური კულტურა და სპორტი); 5. თანამედროვე ინფრასტრუქტურის სფეროში (საცხოვრებელი, ტრანსპორტი, გზები, კომუნიკაციები, ვაჭრობა და მომხმარებელთა მომსახურება); 6. მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების სფეროში (ოჯახი, ახალგაზრდული ოჯახი, პოლიტიკა ხანდაზმულებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში და ა.შ.); 7. მიგრაციის სფეროში (იძულებითი მიგრაცია, გარე შრომითი მიგრაცია და ა.შ.); სოციალურ-ეკოლოგიური სფეროებში და ა.შ..

ობიექტისა და სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით სოციალური პროგრამები მოიცავს სხვადასხვა ღონისძიებას, როგორიცაა სოციალური უზრუნველყოფა, ფულადი ტრანსფერები, უმუშევრობის დახმარების პროგრამები, პენსიისა და ინვალიდობის შემწეობა, საბინაო სუბსიდიები და დახმარების სხვა ფორმები და ა.შ.

სოციალური უზრუნველყოფის სისტემები ეხმარება შემოსავლის წყაროს დაკარგვის მქონე პირებს, პენსიონერებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მრავალშვილიან ოჯახებს და მოქალაქეების სხვა კატეგორიებს, უზრუნველყოფს მათ მინიმალური შემოსავლით და აუმჯობესებს მათი ცხოვრების ხარისხს.

დახმარების პროგრამები შექმნილია სამი ძირითადი ამოცანის შესასრულებლად: 1. იმ ადამიანების მხარდაჭერა, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება აქვთ სახელმწიფოს წინაშე; 2. გადახდების განხორციელება, რომელსაც გარკვეულწილად შეიძლება ეწოდოს დაზღვევა (პენსიები, დროებითი უუნარობის შემწეობა და ა.შ.); 3. სოციალური მომსახურების გაწევა მოსახლეობის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კატეგორიებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ადეკვატური მხარდაჭერა ოჯახებისგან. ის ასევე მოიცავს გარკვეული ტიპის შეღავათების გადახდას (ბავშვთა შემწეობა, მრავალშვილიანი და მარტოხელა მშობლების შემწეობა და ა.შ.).

სოციალური სფეროს მრავალასპექტიანობიდან გამომდინარეობს სოციალური პროგრამების სახეები, რომელიც კლასიფიცირდება:

1.მასშტაბის მიხედვით:

ა). ძირითადი - სოციალური ღონისძიებების, სახსრებისა და მომსახურების გარანტირებული სია, რომელსაც სოციალური ინსტიტუტები უზრუნველყოფენ დადგენილი წესით სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ხარჯზე; **ბ). მიზნობრივი** - სოციალური სფეროს ცალკეული სექტორების პროგრამები: შემოსავლები და ფასები, სოციალური და შრომითი ურთიერთობები, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა, განათლება და კულტურა, ოჯახის სოციალური დაცვა, დედობა და ბავშვობა. **გ). ინდივიდუალური** - სოციალური სამსახურების

© All authors, 2025

მიერ ოპტიმალური ღონისძიებების განხორციელება ინდივიდისთვის ჯანმრთელობისა და/ან სოციალური გარემოებებით გამოწვეული ცხოვრებისეული შეზღუდვების პრობლემების გადასაჭრელად.

. 2. **სტატუსის მიხედვით:** ფედერალური, ფედერალურ-რეგიონული, რეგიონული, რეგიონთაშორისი, სექტორული, საწარმოო.

3. **დროულობის მიხედვით:** პროაქტიური, დაგვიანებული.

4. **პარადიგმების** (მოდელების) მიხედვით: ლიბერალური, სოციალ-დემოკრატიული, კონსერვატიული, პატერნალისტური.

5. **განხორციელების პერიოდის მიხედვით:** მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი.

საბაზრო რეფორმების დაწყებასთან ერთად, სოციალური პროგრამებმა განვითარების დიდი გზა განვლო. დღეისათვის მთავარი პრინციპი გახდა გამწვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე (ღარიბებისა და უმუშევრების რაოდენობის ზრდა, ლტოლვილებისა და მიგრანტების გაჩენა, ხელფასებისა და პენსიების გადაუხდელობა და ა.შ.) სწრაფი რეაგირება. შედეგად, ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე გაჩნდა სოციალური შეღავათებისა და პრივილეგიების ახალი ტიპები. სოციალური დახმარება, შემწეობა, სუბსიდიები, გადახდები, რომლებიც გათვალისწინებულია მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიაზე (მაგალითად, ისეთი კატეგორიები, როგორიცაა ვეტერანები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სტუდენტები და ა.შ.). თითქმის ყველა სოციალური დახმარება, გადახდა და პრივილეგია გათვალისწინებულია კატეგორიული პრინციპის საფუძველზე.

რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე დადგენილია სოციალური შეღავათების შემდეგი სახეობა - ყოველთვიური ბავშვის შემწეობა, საბინაო სუბსიდიები, სახელმწიფო სოციალური დახმარება, რომელიც - მოითხოვს შემოსავლის შემოწმებას და გაცემას იმ ოჯახებისთვის, რომელთაც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. (აღნიშნულის განხორციელება თავის თავზე აიღო სოციალურმა სააგენტოებმა).

რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიისთვის. (მოსახლეობისთვის გაცემული სოციალური ტრანსფერებიდან - (პენსიები, შეღავათები, სტიპენდიები, სადაზღვევო გადახდები და ა.შ.). განსაკუთრებით ასევე გამოიყოფა სამი ძირითადი სახე. დროებითი უუნარობის შემწეობა, მარტოხელა პენსიონერების და თითოეული ბავშვისთვის ყოველთვიური შემწეობა, რასაც განაპირობებს ის ფაქტი, რომ ამჟამად სიღარიბეში ჩავარდნის ყველაზე მაღალი რისკი სწორედ ამ ჯგუფს ემუქრება.

ასევე არსებობს სოციალური უსაფრთხოებისა და უზრუნველყოფის {7} შეღავათები და სუბსიდიები, რომლებიც ფინანსდება სოციალურ სფეროში ბიუჯეტის გარეშე არსებული სახსრებიდან (მაგალითად, ჯანდაცვის, დროებითი უუნარობის შემწეობა და ა.შ.), და მიმართულია მოსახლეობის სიღარიბის დაძლევისკენ.

მოსახლეობისთვის სოციალური შეღავათებისა და შეღავათების ამჟამინდელი პროგრამების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მედიკამენტებზე შეღავათების (ფასდაკლებების) მოქმედი შემწეობა. რომელიც ენიჭება მოქალაქეთა კატეგორიებს სახელმწიფოს წინაშე მათი მომსახურების აღიარების სახით, ცალკე გამოიყოფა

© All authors, 2025

მწვავე და ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ ძვირადღირებულ შემანარჩუნებელ მკურნალობას.

პენსიონერთა საერთო რაოდენობაში ერთი კატეგორია გამოირჩევა: ხანდაზმული მარტოხელა პენსიონერები, რომლებიც, სავარაუდოდ, უკიდურესად ღარიბებს შორის არიან კონცენტრირებულნი. ეს ფაქტი ფიქსირდება არა მხოლოდ სიღარიბის აბსოლუტურ გაზომვაში, როდესაც შემოსავლები შედარებულია საარსებო მინიმუმთან, არამედ სიღარიბის ფარდობითი გზით გაზომვისას. ამ შემთხვევაში, მარტოხელა პენსიონერების ფარდობითი სიღარიბე, პირველ რიგში, განპირობებულია ფასიანი მედიკამენტების გამოყენების შეზღუდული შესაძლებლობებით უფასო მედიკამენტებზე წვდომის არარსებობის შემთხვევაში.

ამავდროულად, სხვადასხვა სუბსიდიებისა და შეღავათების მიმღებთა რიცხვში მოხვედრის ალბათობა დამოკიდებულია ოჯახის კეთილდღეობაზე: იმ ოჯახებისთვის, რომელთა ერთ სულ მოსახლეზე ხელმისაწვდომი რესურსები საარსებო მინიმუმზე ნაკლებია, ეს ალბათობა მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე ყველა ოჯახთან შედარებით.

ქვეყანაში სოციალურად დაუცველთა რაოდენობა ისტორიულ მაქსიმუმზეა – მარტის მონაცემებით, 700 470 ადამიანი საარსებო შემწეობის მიმღებია, ბოლო წლებში, რეკორდულად გაიზარდა ქვეყანაში სოციალურად დაუცველთა რაოდენობა. 2019 წელთან შედარებით, საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 273,097 ადამიანით, დაახლოებით 64%-ით, არის გაზრდილი (იხილეთ გრაფიკი 6).

გრაფიკი 6

საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახი და მოსახლეობა, საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობასთან (%)



წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სოციალური გადახდებისა და შემწეობების თანამედროვე სისტემის ერთ-ერთი შესაძლო გზაა მიზნობრიობის გასაუმჯობესებლად

© All authors, 2025

თითოეული ინდივიდუალური გადახდის ან შემწეობის მხოლოდ გაჭირვებულთათვის გაცემა. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

იმ ოჯახებს შორის, რომელთა ერთ სულ მოსახლეზე ხელმისაწვდომი რესურსები საარსებო მინიმუმზე ნაკლები იყო, ღარიბებს შორის სოციალური დახმარების, სუბსიდიებისა და შემწეობების მიმღებთა წილი და მათი ზომა ნაკლებია მთლიანი მოსახლეობის საშუალო მაჩვენებელზე. ეს საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: სოციალური დახმარების ძირითადი ნაწილი არ ნაწილდება საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების სასარგებლოდ. ღარიბებისთვის მათ მიერ მიღებული შემწეობები არ არის ადეკვატური მათი ეკონომიკური მდგომარეობის სირთულისა: შემწეობების ოდენობის თანაფარდობა ღარიბ ოჯახებში შემოსავლის (ხელმისაწვდომი რესურსების) ოდენობასთან უკიდურესად დაბალია და არ გვაძლევს საშუალებას, არსებული სოციალური დაცვის სისტემა განვიხილოთ, როგორც ღარიბი ოჯახების რეალური მხარდაჭერის მექანიზმი.

თუ ღარიბი ოჯახების წევრების მიერ მიღებული შეღავათებისა და სუბსიდიების საშუალო ოდენობას შევადარებთ ღარიბი ოჯახების ხელმისაწვდომი რესურსების საშუალო დეფიციტს მივიღებთ, რომ: საკვების სუბსიდიებს შეუძლიათ დაფარონ მათი ხელმისაწვდომი რესურსების დეფიციტის მხოლოდ დაახლოებით 6%; ტრანსპორტის ხარჯების დასაფარად სუბსიდიები - 5%-ზე ნაკლები; საცხოვრებლის საფასურის დასაფარად სუბსიდიები - 5%-ზე ნაკლები; ბავშვის ყოველთვიური დახმარება - 8%-ზე ნაკლები. სახსრების ამ ტიპის განაწილებას არ შეიძლება ვუწოდოთ არც სამართლიანი და არც ეფექტური.

განსაკუთრებით ღარიბი ოჯახების შეზღუდული უნარის გათვალისწინებით, მოიზიდონ დამატებითი მატერიალური რესურსები, მოსახლეობის სოციალური დაცვის სხვადასხვა ფორმის, რეგრესიული ხასიათისაა (ყოველთვიური ბავშვის შემწეობა, სუბსიდიები, საწვავის სუბსიდიები, მედიკამენტების შეძენის შეღავათები). შესაბამისად მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნობრივი ფორმების გამოყენების კონტექსტშიც კი, რესურსების უღარიბესი ფენის სასარგებლოდ გადანაწილების პრობლემები საქართველოში კვლავ აქტუალური რჩება.

საჭიროებების რეგისტრაციისა და დადასტურების საფუძველზე, არსებული მეთოდები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ლეგალური შემოსავლის (ხელფასი, პენსიები, სტიპენდიები და ა.შ.) რეგისტრაციას ეფუძნება, იწვევს იმ ფაქტს, რომ არაღარიბების სოციალური დახმარების პროგრამებში ჩართვისა და ღარიბი ოჯახების ამ პროგრამებიდან გამორიცხვის შეცდომები კვლავ იარსებებს.

რაც შეეხება საპენსიო ფონდს მნიშვნელოვანი საკითხია, საპენსიო ფონდის ბიუჯეტის განსაზღვრისას, ინდივიდუალური პენსიონერის კოეფიციენტის გამოყენება, რომელიც ერთიმხრივ უნდა გულისხმობდეს დასაქმებულის შრომითი შენატანების უფრო მეტად გათვალისწინებას პენსიის დანიშვნისას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საპენსიო ფონდის ვალდებულებებს. რაც საქართველოში არ განიხილება, თუმცა ამ სფეროში წინ გადადგმული ნაბიჯია საპენსიო ფონდის დაგროვებითიი ფუნქცია.

სოციალური დაცვის ამჟამინდელი სისტემა ბოლო ათწლეულების განმავლობაში განვითარდა და ეკონომიკის დაგეგმილი სახელმწიფო მართვის მკაფიო კვალს ატარებს. ამ მხრივ, სოციალური დაცვის სისტემა ამჟამად არ შეესაბამება დღევანდელ რეალობას და

© All authors, 2025

საჭიროებს რეფორმირებას. ამჟამინდელი სოციალური კანონმდებლობა დიდწილად განსაზღვრავს ამ სისტემის ნაკლოვანებებსა და არაეფექტურობას. ქვეყნის სოციალური კანონმდებლობის იდეოლოგია არ გულისხმობს სიღარიბის შემცირებას, ამიტომ ეს ჯერ კიდევ რჩება ამოცანად, რომელიც სამართლებრივი რეგულირებით უნდა გადაწყდეს. თუ სოციალური პოლიტიკის მიზნებსა და პრიორიტეტებს ამჟამინდელი კანონმდებლობიდან გამოვიტანთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირველ რიგში დგას **ქვეყნისთვის მომსახურების წახალისება,** ბოლოს დგას ბენეფიციართა (ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა, ოჯახისა და ბავშვების და ღარიბების მხარდაჭერა,) **ანუ სიღარიბის შემცირება.**

კარგად არის ცნობილი ის ფაქტიც, რომ დაბალი შემოსავლის მქონე მოქალაქეები სოციალური დახმარების ხარჯების მთლიანი ოდენობის მხოლოდ მცირე ნაწილს იღებენ. ეს დებულებები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გამოავლინოს არსი და ააგოს **სოციალური სახელმწიფოს მოდელი,** რომელშიც დაბალი შემოსავლის მქონე მოქალაქეებს შეეძლოთ სახელმწიფოსგან დახმარების მიღება. საჭიროა მოსახლეობის გარკვეული კატეგორიის (ლტოლვილები და მიგრანტები, შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილე სამხედრო პერსონალი; დონორები) სოციალური დაცვა, საარსებო მინიმუმსა და მინიმალურ ხელფასს შორის ურთიერთობის პრინციპის გათვალისწინება, რაც იწვევს იმ ფაქტს, რომ სოციალური დახმარება არ აღწევს ყველაზე დაუცველ მოქალაქეებამდე.

მიღებული აქტების დებულებები გარკვეულ წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან. ურთიერთგამომრიცხავი ნორმების ერთდროული მოქმედება ქაოსს იწვევს მათ განხორციელებაში; საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავლის მქონე პირთა იდენტიფიცირებას ხელს უშლის სხვადასხვა დონეზე არსებული უზარმაზარი ხარვეზები, რადგან არ არსებობს რეალური მექანიზმები ასეთი პირების ობიექტურად იდენტიფიცირებისთვის;. მოქმედი კანონმდებლობა დაფუძნებულია კატეგორიულ მიდგომაზე, სოციალური დაცვის ფუნქციის განხორციელებაზე სახელმწიფო მონოპოლიის გაძლიერებაზე და არასამთავრობო ორგანიზაციების ამ სფეროდან განდევნაზე.

სოციალური კანონმდებლობის გაუმჯობესების პერსპექტივებს სიღარიბის შემცირების ხელშეწყობის მიზნით წარმოადგენს შემდეგი: 1. მიზნობრივი პრინციპის შემუშავება. სოციალური პროგრამების რეორიენტაცია მოსახლეობის ღარიბი კატეგორიების მხარდასაჭერად პროგრამებზე ღარიბების პრიორიტეტული წვდომის პრინციპის განხორციელებით, 2. სოციალური დაცვის სისტემის, როგორც მთლიანობის, გასაუმჯობესებლად სოციალური პოლიტიკის მიზნების იერარქიის დადგენა. აქ შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი სფერო: ა) სიღარიბის დაძლევა ადამიანების პირადი პოტენციალის გამოყენებით, რათა დამოუკიდებლად გადალახონ რთული ცხოვრებისეული სიტუაციები და დაეხმარონ მათ ამაში; ბ) სპეციალური სერვისების წახალისება (ანუ შეღავათების გაცემა მიმღებთა ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მიუხედავად, რაც მოიცავს: გმირებს, დიდების ორდენის სრულუფლებიან მფლობელებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და დიდი სამამულო ომის მონაწილეებს,

ამასთან გასათვალისწინებულია ის ფაქტიც, რომ ნებისმიერი ქვეყნის დაცვის შინაარსს და მისადმი მიდგომებს განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: ისტორია, ტრადიციები,

© All authors, 2025

ფასეულობათა სისტემა, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა {7}. აქედან გამომდინარე სოციალური დაცვის სისტემის მიზანი, ყველა ამ საკითხების ჯაჭვში მოქცევით, მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენის მხარდაჭერა, მოქალაქეთათვის გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლება, სერვისების დახვეწა, უფრო მოქნილ, მარტივ და სწრაფ, მოსახლეობისათვის ადვილად ხელმისაწვდომ მექანიზმებზე გადაყვანაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიღარიბე ეს ნომერ პირველი პრობლემაა, რომლის აღმოსაფხვრელად საჭიროა დიდი ძალისხმევა და სწორი სტრატეგიები.

თუ ქვეყანაში არასასურველი ეკონომიკური მდგომარეობაა და საკმარისად ანაზღაურებული (ხშირ შემთხვევაში ანაზღაურება საარსებოდ საჭირო თანხასაც კი ვერ ფარავს) სამუშაო ადგილების ნაკლებობაა, ხოლო ადამიანებს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა აქვთ, მოსახლეობის ნაწილს არ უღირს დაბალი ხელფასისთვის დაქირავებულად მუშაობა და ცდილობს, სხვა ქვეყანაში იპოვოს უკეთესი სამსახური, ან სოფელში, მიწაზე მუშაობით მოიპოვოს არსებობისთვის საჭირო მინიმალური შემოსავალი (ხშირად – ნატურალური პროდუქტის სახით). საქართველოსთვის ორივე სიტუაცია დამახასიათებელია – ემიგრაციაც და მიწაზე მუშაობაც. თუ ადამიანს არც მიწა აქვს და ვერც საზღვარგარეთ მიდის, ის სოციალურ ან უმუშევრობის დახმარებას იღებს. ბევრ ქვეყანაში უმუშევრობის დახმარება სოლიდურია და კონკურენციას უწევს დაბალანაზღაურებად სამსახურს.

უმუშევრობა თავის უარყოფით კვალს ტოვებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც. მოკვდაობის მიზეზებიდან მატულობს სისხლის მიმოქცევის სისტემის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, სუნთქვის ორგანოების დაავადებებით გარდაცვლილთა რაოდენობა, რაც უკავშირდება არასრულფასოვან კვებას, ნერვულ დაძაბულობას, უიმედობას და სხვას.

საქართველოში სიღარიბის დაძლევის მრავალი სამთავრობო დოკუმენტი შეიქმნა, რომლებზედაც დიდძალი თანხები იხარჯებოდა, თუმცა სიღარიბის საერთო სურათი, როგორც დონის, ისე სიღრმისა და სიმწვავის მიხედვით რეალურად არც შეცვლილა.

2008 წელს მთავრობამ დაამტკიცა პროგრამა ,, ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე''. პროექტი გულისხმობდა, დასაქმების შესაძლებლობების შექმნას, ეფექტურ შრომის კანონმდებლობაზე დაყრდნობით. ფინანსურ დახმარებას წლის აპრილისთვის, საქართველოში 145 665 ოჯახი ყოველთვიურად ფინანსურ დახმარებას იღებდა. ასევე 2008 წელს შეიქმნა სამედიცინოს დაზღვევის პროგრამა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის. შედეგი შემდეგი იყო: ამ წელს სიღარიბის მაჩვენებელი 23%_მდე შემცირდა. პროგრამა დღესაც აგრძელებს ფუნქციონირებას.

სოციალური დახმარება საქართველოს სოციალური დაცვის პოლიტიკა ეფუძნება ,,მისამართულ'' დახმარებას. სოციალური პოლიტიკის მთავარ პრინციპად რჩება სახელმწიფოს მიერ რესურსების მიწოდება შეფასების სისტემის მიერ გამოვლენილი ყველაზე გაჭირვებული ადამიანებისათვის. ამავე დროს, სახელმწიფოს ამოცანაა გააუმჯობესოს მისამართულობა და ამისათვის გამოიყენოს მრავალფეროვანი საშუალებები {4}.

ფულადი დახმარება და სამედიცინო დაზღვევის სქემის განვითარება არის საფუძველი, რომელსაც სოციალური ინტეგრაცია, სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობა და

© All authors, 2025

საზოგადოებრივი ჯანდაცვა ეყრდნობა. საზოგადოების ყველაზე ღარიბი ფენებისაკენ სოციალური დახმარების მიმართვისათვის შეიქმნა მოწყვლადი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა. მონაცემთა ერთიანი ბაზა შეიცავს ინფორმაციას ღარიბ ოჯახებზე, რომლებმაც სახელმწიფოსაგან სოციალური დახმარება მოითხოვეს. თითოეულ ოჯახს მინიჭებული აქვს შეფასების ქულა, რომელიც ამ ოჯახის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას ასახავს. მონაცემთა ერთიანი ბაზა საშუალებას იძლევა დახმარება მიიმართოს სპეციფიკური მიზნობრივი ჯგუფისაკენ.

ცენტრალური ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული ფართომასშტაბიანი პროგრამების გარდა, რეგიონებისა და ავტონომიური ერთეულების ადგილობრივი თვითმართველობები ახორციელებენ მცირემასშტაბიან სოციალურ პროგრამებს. საქართველოში სოციალური დახმარების პოლიტიკა მიმართულია უკიდურესი სიღარიბისაგან გამოწვეული შოკისაგან მოსახლეობის დაცვაზე. იმის გათვალისწინებით, რომ საარსებო მინიმუმთან მიმართებაში დათვლილი სიღარიბის დონე (მეთოდოლოგიური პრობლემების გამო) ვერ ავლენს მოსახლეობის უღარიბეს ფენას, სიღარიბის დონემ საქართველოში მოიკლო, რაც ექსპერტებს საშუალებას აძლევს, უკიდურესი სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით, სოციალური დახმარების პროგრამა შეაფასონ როგორც მაღალი მისამართულობის მაჩვენებლით გამორჩეული. თუმცა, დახმარების ეფექტი არ არის ადეკვატურად შეფასებული, რის გამოც ამ დახმარების გავლენა შეზღუდულია – ბენეფიციარი ოჯახების გარკვეულ ნაწილს სიღარიბიდან ამოსვლა უჭირს, ხოლო ბევრი ოჯახი საერთოდ დახმარების გარეშე რჩება {8}. ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა უმწეოთა გამოვლენის მეთოდოლოგიის კიდევ უფრო დახვეწა, ისევე როგორც საჭიროებაზე დაფუძნებული ბენეფიტების ზრდა. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოციალური დახმარების სიდიდემ არ უნდა გამოიწვიოს შრომისუნარიანი ადამიანების დემოტივირება და პასიურ მდგომარეობაში დარჩენის სტიმულირება. სოციალური ბენეფიტები არ უნდა იყოს დასაქმებით მიღებული პოტენციური შემოსავლის ტოლი ან მასზე მეტი, რაც დაწევდა შრომითი საქმიანობის მოტივაციას.

საქართველოში მთავრობის მიერ ღარიბი შინამეურნეობებისთვის დახმარების გაწევის მთავარი მექანიზმი „მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაა“, რომელიც როგორც ფულად ტრანსფერებს, ისე გარკვეულ არაფულად დახმარებებსაც ითვალისწინებს. 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, 121,345 შინამეურნეობა (რაც მთელი მოსახლეობის 11.2%-ს შეადგენს) „მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში ფულად დახმარებას იღებდა. ამის მიუხედავად, სოციალურ დახმარებაზე მოთხოვნილება გაცილებით უფრო მაღალია, რაც უკანასკნელ წლებში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ქვეყანაში არსებული სიღარიბის მაღალი მაჩვენებლებით არის გამოწვეული.

გაეროს ბავშვთა ფონდის ხელმძღვანელობით ჩატარებული „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ მიხედვით, საქართველოში სოციალური დახმარება მთლიანობაში შინამეურნეობების 15.2 პროცენტმა ითხოვა (როგორც მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, ისე სხვადასხვა ორგანიზაციებისგან). მათგან მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამას შინამეურნეობების 8.6 პროცენტმა მიმართა, სხვა სახის სოციალური დახმარება 6.0 პროცენტმა ითხოვა და მხოლოდ 0.6 პროცენტმა ითხოვა {9}, ორივე - როგორც მიზნობრივი სოციალური დახმარება, ისე სხვა ფორმის დახმარება. ყველაზე ხშირად

© All authors, 2025

მოქალაქეები დახმარებას ფულადი შემწეობის და სამედიცინო მომსახურების მისაღებად ითხოვენ.

საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა ცხოვრების ციკლის ზოგიერთ მნიშვნელოვან პროგრამას (როგორებიცაა ჯანმრთელობის, ხანდაზმულობისა და შეზღუდული შესაძლებლობების დახმარებები) მოიცავს, მაგრამ მასში ჯერ კიდევ არ არის წარმოდგენილი ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებები, როგორიცაა სამუშაო ასაკის მოსახლეობისთვის განკუთვნილი სქემები (მაგალითად, უმუშევრობის დაზღვევა/დახმარება და ცოცხლად დარჩენილთა დახმარება მოზრდილთათვის). ასევე, მასში გაერთიანებული ზოგიერთი პროგრამა {9}, მაგალითად, დროებითი შრომისუუნარობის (ავადმყოფობის) და ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის დახმარება სუსტია და მოცვაც დაბალი აქვთ. მაგალითად, მიზნობრივი სოციალური დახმარება, რომელიც სიღარიბის წინააღმდეგ გატარებულ უკიდურეს ზომას წარმოადგენს, ცხოვრების ციკლის დახმარებას ვერ ანაცვლებს. ამიტომ ყოველთვის იარსებებს საჭიროების მქონე, მაგრამ პროგრამის მიღმა დარჩენილ ადამიანთა მნიშვნელოვანი რაოდენობა. ბავშვთა სოციალური დაცვა და აშ.

ზოგიერთი საგრანტო სქემაა, დაფინანსების წყაროები სრიგპ-ს განხორციელებისთვის გამოყოფილი ახალი საბიუჯეტო ხაზი, რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება; ერთ-ერთი ასეთი პროექტი გახლდათ ENPARD47 – პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირი მხარს უჭერს პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ზრდას, ასევე სოფლის ტიპის დასახლებების განვითარებას.

EU M4EG – მერები ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG) არის ევროკავშირის ახალი ინიციატივა, რომლის განხორციელება დაიწყო 2017 წელს.

GIZ – გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს სახელით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) მხარს უჭერს საქართველოს. ორგანიზაცია ძირითადად მოქმედებს ბევრ სფეროში,

პოლონეთის ინვესტიციებისა და განვითარების სამინისტრო (Polish Aid) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით ახორციელებს 2-წლიან პროექტს „საქართველოს სახელმწიფო ადმინისტრაციის სრიგპ-ს განსახორციელებლად მომზადება“. პროექტის მიზანია სახელმწიფო ადმინისტრაციის შესაძლებლობების ზრდის მხარდაჭერა პროფესიული საინვესტიციო წინადადებების მომზადებაში და ინვესტორისთვის სათანადო მომსახურების გაწევაში ადგილობრივ და რეგიონებში.

გარდა ამისა, როგორც მსოფლიოს ყველაზე დიდ განვითარების ინსტიტუტს, მსოფლიო ბანკს უზარმაზარი გავლენა აქვს მილიონობით ხალხის ცხოვრებაზე, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ცხოვრებაზე. მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულმა პროექტებმა მძიმე დაღი დაასვა ადგილობრივ საზოგადოებებს, კიდევ უფრო გააღარიბა მილიონობით ადამიანი, ზიანი მიაყენა გარემოს მსესხებელ ქვეყნებში.

საქართველოში მოქმედი პროგრამების პარალელურად მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა და შეფასება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მაგალითზე.

© All authors, 2025

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკური წარმატება ბოლო ათწლეულების მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა. სოციალურ-ეკონომიკურმა რეფორმებმა ჩინეთს ეკონომიკურად წარმატებულ, დინამიურად განვითარებად ძალად გადაქცევის საშუალება მისცა. ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა სწრაფად აღმავლობას განიცდის და ჩინეთის გავლენა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში და მთლიანად მსოფლიოში პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაზე გაიზარდა.

თუმცა, ამავდროულად, თანამედროვე ჩინური საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა კვლავ ქვეყანაში სოციალური უთანასწორობის მაღალი დონეა, რაც შეშფოთებას იწვევს არა მხოლოდ ჩინეთის მთავრობისთვის, არამედ მთელი მსოფლიო საზოგადოებისთვის. ქვეყანაში ღარიბი ადამიანების რაოდენობა კვლავ საკმაოდ დიდია. ამ მხრივ, სიღარიბესთან ბრძოლა ჩინეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან კომპონენტად იქცა 21-ე საუკუნეში.

ბოლო წლების გამოცდილებამ ქვეყანას საშუალება მისცა, ეპოვა საკუთარი გზა ღარიბი ადამიანების რაოდენობის შესამცირებლად და სოციალური უთანასწორობის შესამცირებლად, რაც ხასიათდება მთავრობის დომინანტური როლით, ამ მხრივ, ციური იმპერიის მოსახლეობის გაჭირვებული ნაწილისთვის გათვალისწინებული სოციალური დახმარების პროგრამები უკვე თანამედროვე ჩინეთის სოციალური უზრუნველყოფის სისტემის განუყოფელი ნაწილი გახდა. ამ პროგრამებს ახორციელებს როგორც სახელმწიფო, ასევე თავად ქვეყნის მოქალაქეები.

ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია „იმედის“ პროგრამა, რომელიც 1989 წლიდან ხორციელდება და მიზნად ისახავს ღარიბი სოფლის ოჯახების ბავშვების დახმარებას, რომლებმაც დაკარგეს სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობა. პროექტი საქველმოქმედოა და ფინანსდება რიგითი მოქალაქეების ნებაყოფლობითი შემოწირულობებით. პროგრამის არსებობის ორ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, მილიონობით ქალაქის მაცხოვრებელი, ათასობით სამუშაო კოლექტივი და ასობით უცხოელი მეწარმე გამოეხმაურა მოწოდებას. ამ პროგრამის წყალობით, სოფლებიდან დაახლოებით სამი მილიონი ბავშვი კვლავ გახდა სრულფასოვანი სტუდენტი და ღარიბ ოლქებსა და ქალაქებში გაიხსნა რამდენიმე ათასი სკოლა. საერთო ჯამში, პროგრამის ფარგლებში დღემდე დაახლოებით ხუთასი მილიონზე მეტი იუანი შეგროვდა [11].

„იმედის“ პროექტის გარდა, ჩინეთში ამჟამად ღარიბების დასახმარებლად სხვა მიზნობრივი პროგრამებიც მოქმედებს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია „ბედნიერების პროექტი“, რომლის მიზანია ღარიბი დედების დახმარება. „ბედნიერების ფონდი“ ჩინეთის მოსახლეობის კეთილდღეობის ფონდის, ოჯახის რეგულირების სახელმწიფო კომისიისა და გაზეთ „ჩინეთის მოსახლეობის“ რედაქციის მიერ იქნა ინიცირებული. ფონდიდან თანხები სამი კატეგორიის მიხედვით გაიცემა: გადაუდებელი საჭიროებები, მიზნობრივი სესხები და ბიზნეს გეგმის განხორციელება. დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებს პროექტი მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს, მათ შორის პროვინციებში, ცენტრალურად დაქვემდებარებულ ქალაქებსა და ავტონომიურ რეგიონებში. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იმავე პროგრამის ფარგლებში, ათასობით ღარიბმა დედამ გაიარა სამედიცინო შემოწმება და მათგან უმრავლესობა განიკურნა სხვადასხვა დაავადებისგან, თანხები დაიხარჯა ღარიბი რაიონების

© All authors, 2025

დედების სამედიცინო მედიკამენტებით უზრუნველყოფაზე, თანხები გამოყენებული იყო დახმარებისთვის.

ჩინეთის დასავლეთ რეგიონებში მოსახლეობისა და პირუტყვის წყლით მომარაგების მიზნით წყალსაცავების მშენებლობა, „სითბოს“ პროგრამა, რომელიც ორგანიზებულია ღარიბებისთვის ყოვლისმომცველი დახმარების გაწევის მიზნით (გაჭირვებულთათვის საკვებისა და ჩაცმის, გამძლე საქონლის შეძენის, სახლების აღჭურვის და ა.შ. შესაძლებლობის მიცემა) ჩინეთში ამჟამად მოქმედი სოციალური დახმარების პროგრამების მაგალითებია. სოციალურ დახმარებაში ჩართულ ორგანიზაციებს შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩინეთის ასოციაცია - სოფლად მცხოვრები ღარიბი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სახიფათო სახლების შეკეთება, ჩინეთის ლატარიის წამახალისებელი ფონდი - ლატარიის მეშვეობით ღარიბების დასახმარებლად პროგრამა, ახალგაზრდა - დასავლეთ რეგიონისთვის სტუდენტური მოხალისეობრივი მომსახურების გეგმა და მოხალისე ახალგაზრდების კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო დახმარების გუნდები და ა.შ.

ჩინეთის სოფლებში ღარიბი ადამიანების დიდი რაოდენობის გამო, მთავრობა მკაცრად უწყობს ხელს სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ პროექტებს. მაგალითად, ამჟამად მოქმედი გუანგკაის (ღირსების) პროგრამა მხარს უჭერს კერძო საწარმოებს, რომლებიც საინვესტიციო საქმიანობას ეწევიან გაჭირვებულ რაიონებში. დემოკრატიულმა პარტიებმა წამოიწყეს პროგრამა, „მთელი სოფელი სიღარიბიდან გამოსვლისთვის''რომელმაც მოიცვა დაახლოებით 150 ათასსზე მეტი ღარიბი სოფელი, რომელთა მაცხოვრებლების რაოდენობა ქვეყნის გაჭირვებული მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტს შეადგენდა..

ცნობილი ფაქტია, რომ ჩინეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე საკმარისი რაოდენობის რაიონია, სადაც არ არსებობს ადამიანის არსებობისთვის შესაფერისი პირობები. ეს აისახება სტიქიური უბედურებებისა და უნაყოფო მიწების მაღალ მაჩვენებელში. აქვთ მყიფე ეკოლოგიური გარემო და ძალიან შეზღუდული რესურსები. პროგრამის თანახმად ღარიბი რაიონებიდან მიმდინარეობს გლეხების განსახლება, რომელიც დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს. ადგილობრივი ხელისუფლება გადასახლებულებს რიგ შეღავათებს სთავაზობს, მათ შორის სუბსიდიებს ხელუხლებელი მიწების განვითარებისა და საცხოვრებელი შენობების მშენებლობისთვის, გლეხები პირველი სამი წლის განმავლობაში თავისუფლდებიან წყლისა და ელექტროენერგიის გადასახადისგან. გარდა ამისა, ერთიანი გეგმის თანახმად, მიგრანტების დასახლებისთვის მიწა გამოიყოფა და თანდათანობით ყალიბდება ახალი დასახლებების ინფრასტრუქტურა, ასევე უმჯობესდება განათლებისა და ჯანდაცვის სისტემები. სახელმწიფო ასევე ყოველწლიურად გამოყოფს რამდენიმე ასეულ მილიონ იუანს ახალგაზრდა მიგრანტების სოფლის მეურნეობასთან დაუკავშირებელ პროფესიებსა და სპეციალობებში გადასამზადებლად.

ბოლო წლების მონაცემებით, განსახლების პროგრამით მოცული ფერმერების რაოდენობა დროთა განმავლობაში სტაბილურად იზრდება. ამჟამად, ეს პროექტი ხორციელდება რიგ პროვინციებსა და ავტონომიურ რეგიონებსა და პროვინციებში. სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, რომლის პრიორიტეტიც სოციალური სფეროს განვითარებაა, ქვეყანაში

© All authors, 2025

მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებები მოხდა: სახელმწიფომ სოფელში სიღარიბის შემცირების კრიტერიუმების გამოყენებით ღარიბი მოსახლეობის რაოდენობა საკმაოდ შეამცირა.

ამრიგად, თანამედროვე ჩინეთში, სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ სოციალური დახმარების პროგრამებთან ერთად, არსებობს არაერთი ასეთი პროექტი, რომელთა მთავარი ორგანიზატორები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რიგითი მოქალაქეები არიან. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამა ხალხის ერთმანეთის დახმარებაა. ეჭვგარეშეა, რომ ეს პროექტები, როგორც სახელმწიფო სოციალური დახმარების სისტემის დამატება, ასევე უდიდეს როლს თამაშობს ჩინეთის საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის შემცირებასა და ღარიბი ადამიანების რაოდენობის შემცირებაში, ხელს უწყობს სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემის აღმოფხვრას ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში და ძლიერ იმპულსს აძლევს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შემდგომ განვითარებას ყველა მიმართულებით.

დასკვნები და წინადადებები

- სოციალური დახმარების პროგრამები მნიშვნელოვანი დახმარებაა ყველაზე ღარიბთათვის საქართველოში. თუმცა, ერთი მხრივ, მეთოდოლოგიაში არსებული ნაკლოვანებების და მეორე მხრივ, მოსახლეობის მხრიდან ნდობის ნაკლებობის გამო, ბევრი ღარიბი ოჯახი სისტემის მიღმა რჩება, პროგრამა დიდი შვებაა იმ ოჯახებისთვის, ვინც მას იღებს, თუმცა ეს არ ეხმარება მათ ქრონიკული სიღარიბიდან თავის დაღწევაში. მეტიც, როგორც მონაცემები აჩვენებს, დახმარების მიმღებთა ნახევარზე მეტი სისტემაში ხანგრძლივი ვადით არის ჩართული. პროგრამას სიღარიბის დაძლევის პოტენციალი ფაქტობრივად არ გააჩნია.. თუმცა, ამ სფეროში მზა რეცეპტები არ არსებობს, ვერასდროს იქნება იდეალური და შესაბამისად, ყოველთვის იარსებებს სისტემაში ჩარიცხვის და ამორიცხვის შეცდომები. ამიტომ, მნიშვნელოვანია გამოინახოს გზები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ალტერნატიულ მეთოდებზე, რომლებიც დაფუძნებული იქნება არსებულ შესაძლებლობებზე.

-სიღარიბის მაჩვენებლებზე სოციალურ ტრანსფერებს (ფულადი დახმარებები) უფრო სწრაფი, მაგრამ მოკლევადიანი ეფექტი აქვს. მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც მოცემულ მომენტში უკიდურეს სიღარიბეს ამ გზით აღწევს თავს, კვლავ რჩება მოწყვლად ჯგუფად. სიღარიბის შემცირების ბუნებრივი გზა არის ეკონომიკის სწრაფი განვითარება და მისი თანმხლები სამუშაო ადგილების ზრდა, რასაც თავის მხრივ, მოჰყვება მოსახლეობის შემოსავლების ზრდა.

რა შეიძლება გაკეთდეს სიღარიბის დასაძლევად? უნდა შეიქმნას სოციალური დაცვის შესაძლებლობები იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ.
სოციალურად დაუცველი ჯგუფების სიღარიბიდან გამოყვანა შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით:

1.სოციალური შეღავათებისა და შეღავათების მიზნობრიობის გაზრდა; 2.სოციალური კანონმდებლობის სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტებსა და მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; 3.ფარულ შეღავათებზე (საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან, მკურნალობისა და სამედიცინო მომსახურების გადახდასთან) უარის თქმა; 4.უფლებამოსილებების გამიჯვნა ცენტრსა და რეგიონებს შორის კანონმდებლობის ჩარჩოს შემუშავებისა და ფორმირების გზით; 5.ღარიბად ჩათვლილი ადამიანების იდენტიფიცირებაში

© All authors, 2025

პრობლემების აღმოფხვრა (ვინ არის სოციალური დახმარების ობიექტი - ოჯახი (ოჯახი) თუ მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიები?); 6.. მარტოხელა მშობლების ოჯახების ცხოვრების დონის ამაღლება; 7. ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების (ალიმენტის გადახდა, დასაქმებისას პრიორიტეტების მინიჭება, გენდერული ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა) გაძლიერება.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთადერთი კომპონენტი, რომელიც სოციალური დაცვის ქართული მოდელისთვის უცნობია - **უმუშევრობის შეღავათები/დაზღვევაა,(დეკრეტული შვებულებას თუ არჩავთვლით),** რომელიც სამუშაო ასაკის ადამიანების საჭიროებებზე მორგებულ სოციალური დაცვის პროგრამას წარმოადგენს. საჭიროა მისი დანერგვა და გონივრული ამოქმედება, რომელიც ქართული რეალობიდან გამომდინარე შესაძლებელია მნიშვნელოვანი პრევენციული მექანიზმი გახდეს.

სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები, რომ ღარიბი მოსახლეობა მუდმივად არ იყოს სახელმწიფო დახმარებების იმედად და თავად შეძლოს ღირსეული დასაქმება. ამისთვის საჭიროა შრომის ბაზრისთვის მოთხოვნადი პროფესიებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარება, მათი პროფესიული გადამზადება, (ინსტიტუციური მოდელის განახლება), რაც მათ საშუალებას მისცემს, სახელმწიფოსა და საზოგადოების შესაბამისი მხარდაჭერით იპოვონ თავიანთი ადგილი შრომის ბაზარზე.

REFERENCES

Absandze Teona, “What caused the sharp decrease in the poverty level in the country?” G. Fact-meter, Tbilisi. 2022. Retrieved in 2025.

Antadze Ketevan, "Evolution of the Social Assistance System in Georgia", 2025;https://act-global.com/ka/default/insight/fuladi-sotsialuri-dakhmarebis-sistemis-evolutsia-sakartveloshi

Barbakadze Zaza, "What could be hidden behind poverty statistics?". Economic and statistical research, Tbilisi, 2024. Retrieved in 2025. https://socialjustice.org.ge/ka/products/ra-sheidzleba-imalebodes-sigharibis-statistikis-mighma

Kakulia Merab, Kapanadze Nodar, Kurkhuli Lali, Chronic Poverty and Income Inequality in Georgia, Tbilisi, 2017. Retrieved 2025. https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13977.pdf

"In-depth analysis of targeted social assistance and child poverty" - social impact of the program and its potential for overcoming poverty, Tbilisi 2023. Retrieved 2025;

World Bank estimates for Georgia 2024 retrieved 2025;

Fundamentals of Social Work Practice'', - Collection of Training Materials, Tbilisi. 2011. Retrieved 2025;https://tsulearn.wordpress.com/wp content/uploads/2015/01/e183a1e18390e183aee18394e1839ae1839be183abe183a6e18395e18390e1839ce18394e1839ae1839d_e183a1e1839de183aae18398e18390e1839ae183a3e183a0.pdf,,Social Protection and Social Inclusion’’ Conclusion, TB.2023, Retrieved 2025; file:///C:/Users/User/Downloads/GEO%20Executive%20summary%20(Georgian)%20(1).pdf

© All authors, 2025

Assessment of the social protection system in Georgia, TB.2023, Retrieved 2025; https://georgia.unwomen.org/sites/default/files/202305/SPS%20in%20Georgia%28geo%29%5B1626%5D.pdf

Poverty" - Wikipedia, the free encyclopedia, retrieved 2025; https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%91%E1%83%94

Ovchinnikov V. China. "Imedi" project. Retrieved 2025;

Chkhubadze D, ,,Analysis of Migrational Trends in the Context of Formation of Georgian Labor Market and Economic Development;, Journal,,Economics'', Vol.105, No.8-10, Tb, 2023.

© All authors, 2025